



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**ბრძანება N 32**

ქ. თბილისი

25/01/2017

**„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 18 იანვრის №14 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში-დეპარტამენტი) თავმჯდომარის 2017 წლის 18 იანვრის №14 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება :

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.თ“ ქვეპუნქტი:

„ბ.თ) ალექსანდრე თევდორაძე – დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.“ ;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სატენდერო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება უზრუნველყოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე თევდორაძემ.“.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე



.